შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა)

,,დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა ”
გიმნაზიის დირექტორი:
„__“ ,,_____“ 201 წელი

,,გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ა ”
გიმნაზიის პედსაბჭოზე:
(ოქმი № „__“ ,,___“ 201 წელი)

მოსწავლის ქცევის წესები

ხარაგაული

2016 წ

შპს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა)

მოსაწავლის ქცევის წესები

მოსწავლის ქცევის წინამდებარე წესების მიზანია სწავლისათვის ისეთი პოზიტიური გარემოპირობების შექმნა, სადაც მოსწავლე მიიღებს სრულფასოვან ცოდნას, ჩამოუყალიბდება შესაბამისი ღირებულებების უნარ–ჩვევები:

მოსწავილის ქცევის წესებში დადგენილია ის წესები, რომლითაც მოსწავლე ხელმძღვანელობს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, სკოლის დირექტორთან და ,,სკოლაში“ დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. მოსწავლის ქცევის წესები (შემდგომში ,,ქცევის წესები'') არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს, რომლებსაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს;
2. გიმნაზიის დირექცია ვალდებულია ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს გააცნოს მოსწავლის ქცევის წესები;
3. მოსწავლის ქცევის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცლად წარმოდგენილია გიმნაზიის შინაგანაწესში.

მუხლი 2. ,,ქცევის წესების'' მიზანი

1. ,,ქცევის წესების'' მიზანია დანერგოს გიმნაზიაში ყველა მოსწავლისათვის ქცევის ერთიანი ნორმები.
2. ,,ქცევის წესები'' ხელს უწყობს მოსწავლეს მართოს საკუთარი ქცევები, დაიცვას დისციპლინა, ყველას მიმართ განეწყოს ურთიერთპატივისცემით, რითაც შეძლებს გიმნაზიაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებაში ხელშეწყობას.

მუხლი 3. რეგულირების სფერო

1. ქცევის წესები ვრცელდება შპს ხარაგაულის წმიად ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია ყველა მოსწავლეზე;
2. გიმნაზიის დირექცია, მასწავლებელი, ყველა დასაქმებული პირი და მშობლები ხელს უწყობენ მოსწავლეს ქცევის წესების დაცვაში.

თავი II. მოსწავლის ქცევის წესები

მუხლი 4. მასწავლებელთა და დასაქმებულ პირებთან დამოკიდებულება

1. მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასაწავლებლებთან და გიმნაზიაში დასაქმებულ პირებთან ურთიერთობაში და არ აყენებს რაიმე სახის შეურაცხყოფას;
2. მოსწავლე იცავს გიმნაზიის შინაგანაწესის შესაბამის მუხლებში მითითებულ ნორმებს.

მუხლი 5. მოსწავლეებთან დამოკიდებულება

მოსწავლე თავაზიანია ყველა თანატოლებთან ურთიერთობისას, არ აკეთებს მათ მიმართ ცილისმწამებლურ ან/და დამცინავ განცხადებას, არ აყენებს რაიმე სახის შეურაცხყოფას.

მუხლი 6. მოსწავლის ჩაცმის წესი და ვარცხნილობა

1. გიმნაზიაში მოსწავლე ცხადდება გიმნაზიის მიერ დადგენილი მოსწავლის ფორმით/უნიფორმით;
2. მოსწავლე გოგონები არ ცხადდებიან შარვლით, მათი ვარცხნილობა შეეფერება ასაკს, გოგონების ვარცხნილობა არ არის გადატვირთული სხვადასხვა აქსესუარებით და სამშვენისებით.

მუხლი 7. მოსწავლის ქცევა გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების დროს.

1. მოსწავლე დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან/და გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ სახვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე
2. მოსწავლე მომზადებული მოდის გაკვეთილზე, აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნოვთები;
3. მოსწავლე გამოხატავს თავის აზრებსა და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შეულახავად;
4. მოსწავლე, სასწავლო პროცესის დროს, არ სარგებლობს მობილური ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით არა სასწავლო მიზნით;
5. სასწავლო პროცესის ან/და სასკოლო ღონოსძიებების მიმდინარეობისას, მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელს;
6. მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს/გაკვეთილებს კლასის დამრიგებელთან ან/და მასწავლებელთან შეთანხმების გარეშე;

7. მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და გიმნაზიის ქონებას.
8. მოსწავლე იცავს სისუფთავეს გიმნაზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 8. გიმნაზიაში აკრძალული ნივთები

მოსწავლეს ეკრძალება შემოიტანოს გიმნაზიაში:

ა) თამბაქოს ნაწარმი;

ბ) ბასრი ნივთები და ყველანაირი სახის იარაღი;

გ) სანთებელა ან/და ასანთი;

დ) ალკოჰოლური სასმელები;

ე)სასკოლო პროცესისათვის ხელისშემშლელი ტექნიკური საშუალებები (ყურსასმენები, ფოტო–ვიდეო და სხვა);

ვ) დიდი ოდენობის თანხა;

ზ) აზარტული თამაშების საშუალებები:

თ) ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები;

მუხლი 9. პასუხისმგებლობა ,,ქცევის წესების'' დარღვევისათვის

მოსწავლის მიერ ,,ქცევის წესების'' დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას საქართველოს კანონის ზოგადი განათების შესახებ შესაბამისად და გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი წესით.